საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia
LEPL Environmental Information and Education Centre

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6 (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge
0159, #6 M. Gelovani str., Tbilisi, Georgia (+995 032) 2112023 info@eiec.gov.ge www.eiec.gov.ge

N 01/1/1827
26/07/2023

1827-01/1-2-202307261636

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: შპს „აგროუბანს“

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 19 ივლისს, შპს „აგროუბანმა“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა ქ.გურჯაანში, პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიში. სკოპინგის ანაგრიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge.

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2023 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება 2023 წლის 11 აგვისტოს 15:00 საათზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.

ვინაიდან, კანონმდებლობის დადგენილი წესით, საჯარო განხილვა ტარდება ქართულ ენაზე- გთხოვთ, აღნიშნული საჯარო განხილვის მსვლელობისას უზრუნველყოთ ეთნიკური უმცირესობის ენაზე მოსაუბრე თარჯიმნის დასწრება და მისი მეშვეობით სინქრონული თარგმანის

შესაძლებლობა. ამასთან, დამატებით გთხოვთ, უზრუნველყოთ საჯარო განხილვის შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადების ეთნიკური უმცირესობის ენაზე თარგმნა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებ-გვერდსა და Facebook-ის გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: +995 322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 1 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 4 ფაილი

პატივისცემით,

ეკატერინე ბენდელიანი

ცენტრის დირექტორი - მ.შ.

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი